კოლხური ლანდშაფტების ეკოლოგიური და საზოგადოებრივი ინდიკატორების შეფასებითი კარტოგრაფირება

თეკლე ხუნწელია
ელ-ფოსტა: tekle.khuntselia2013@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ლანდშაფტურ მეცნიერებებში და თანამედროვე თეორიულ გეოგრაფიაში ინდივიდუალური და ორიგინალური ნაშრომებისთვის უმთავრესი წინაპირობა მათი გამორჩეულობა და შესასწავლი საკითხის ახლებურ პრიზმაში განხილვაა. ეს გულისხმობს შესასწავლი საკითხების ორიგინალურ და ახლებურად გააზრებას, მსჯელობას, განხილვას და შეფასებას. შეფასების საკითხში ვიყენებთ იმ ტრადიციულ და თანამედროვე ცოდნას, რომელიც ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვდა მეთოდოლოგიისა და ფაქტობრივი მასალების სახით. მასალების სახით; - რომელთაგანაც სივრცითი მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრაფიკული და ვიზუალური მასალა, რომელიც წარსულში ჩატარებული კვლევითი თუ სხვა სახის სამუშაოებიდან არის შემონახული. კოლხეთი შესახებ კვლევა შესაძლოა ახალი არაა, მაგრამ სიახლეს წარმოადგენს ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომები, კოლხური ლანდშაფტის სხვაგვარად გააზრებისა და მის შესახებ ინფორმაციულობის უფრო ფართოდ წარმოდგენის მცდელობა. ამიტომ კოლხური ლანდშაფტების პოტენციური გავრცელებისა და მიახლოებითი საზღვრების გარკვევისათვის, მათი სხვადასხვა ჭრილში შეფასებისათვის შევეცადეთ, რომ გამოგვეყნებინა როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე საზოგადოებრივ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ასევე კულტურული და არქეოლოგიური მიდგომები. გის-ანალიზი და გეოგრაფიული შეფასება საკითხის ინტერდისციპლინარულობის გათვალისწინებით, დამაგვირგვინებელი ფაზაა. რომელიც ერთის მხრივ, შესასრულებელ სამუშაოს მთელი მისი მომზადების მანძილზე თან გასდევდა, ხოლო მეორეს მხრივ, საბოლოო გამაერთიანებელი ფუნქცია იტვირთა კარტოგრაფიული სინთეზისა და შინაარსის შეჯერება-თავმოყრის ეტაპზე. კოლხეთის და კოლხური ლანდშაფტების შესახებ შესწავლა დავიწყეთ ღრმა ისტორიულ ეპოქაიდან და კვლევის დიაპაზონი დროის ხანგძლივ ინტერვალს მოიცავს. შეფასებულია კოლხური ლანდშაფტის გავრცელების ეკოლოგიური, ბიოგეოგრაფიული, ნიადაგურ-ედაფიური, საზოგადობრივ-პოლიტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური და კულტურული ინდიკატრები. რაც ბოლოვდება მათი ამსახველი კარტოგრაფიული მასალით. დროის ინტერვალი საკმაოდ ხანგძლივია (რამდენიმე ათასწლეული) და საკვლევი არეალიც საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. ამიტომ კვლევა და საკითხის ირგვლივ მუშაობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, ნაშრომი შესაძლოა საჭიროებდეს მომავალში შევსებას, როგორც ინფორმაციულად, ისე შინაარსეული მხარით. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კარგიცაა, რადგანაც ასეთი საინტერესო საკითხის შესწავლა საჭიროებს მომავალში კვლევის გაღრმავებას და გაგრძელებას. ნაშრომი საინტერესოა როგორც მისი ინტერდისციპლინარულობით, ისე მისი პრაქტიკული და ინოვაციური ხასიათით. კოლხური ლანდშაფტის, როგორც ერთიანი

ორგანიზმის, მისი ეკოლოგიური და კულტურული ელემენტების შეფასებისთვის, ცნობადობისათვის და პოპულარიზაციისათვის. კოლხური ტრადიციული ყოფა-ცხოვრებისა და იმ ღირებულებების განვითარება-გაუმჯობესებისათვის, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულ-კულტურული ღირებულებაა, ხოლო მსოფლიოსთვის საინტერესო, მრავალფეროვანი ეკოსისტემებითა და კულტურული ელემენტებით მდიდარი სივრცე, რომელიც ბევრისთვის შეიძლება აღმოჩნდეს მიმზიდველი, რაც საქართველოსათვის ცნობადობა-მიმზიდველობის ზრდის წინაპირობად შეიძლება იქცეს.